



42. — 1914 მიიღება ხელმოწერა 1915 წ., თეატრი და ცხოვრება“-ზე 21 ქრისტეშობისთვის



მარგარიტა მის. ქილარჯიშვილი
 ათი წლის სასცენო მოღვაწეობის გამო
 მისი პირველი ბენეფისი ქუთაისის თეატრ-
 ში შესდგება სამშაბათს, 23 ქრისტე-
 შობისთვის.

შინაარსი:

1. მეთაური: ა—შინაური უთანხმოება; ბ—სად არის გმირი? 1
 2. ს. ფაშალი შვილი—მოვალეობა 2
 3. ალ. შანშიაშვილი—ნაცარქექობა 2
 4. რე-მი—კრიტიკა თუ გაუგებრობა 2
 5. ან კაპანაძისა—ხალხური შემოქმედება 3
 6. ჯაჯუ ჯორჯიკია 4
 7. დ კობალი—პეუნლა 4
 8. მსახიობნი: ელო ანდრონიკაშვილი; მარ. ქილარჯი შვილი 4
 6. ი. გრიშაშვილი—ცრმელების კრილოსანი, დამტვრეული პოემა 5
 10. მიმჭკალი—პასუხი 6
 11. ქართველ მწერალთა წერილები—ლადო აღიაშვილის წერილი სპარსეთიდან ალ. შირიანაშვილთან 7
 12. ს. აბაშელი—დამტვრეული სტრიქონები, ლექსი სევერიანისგებური 8
 13. დ. მესხი—მე შენი მესმის—შენ გესმის ჩემი 9
 14. გ. ჯაბაური—ქართულ სახალხო თეატრის ისტორია 10
 15. გ. დათიაშვილი—ორი ფერადი 11
 16. ვვ. ფურცხვანიძე—დედის მკვლედი 2
 17. ტის. ჭეიშვილი—მისაბაძი მაგალითი 13
 18. ქართული სახიობა: 13
 19. წერილი ამბები 16
- სურათები, კარიკატურები, სილუეტები, განცხადებანი.

თეატრი ნაძალადევი
 კვირას, 21 დეკემბერს 1914 წ. ჩაიხატოს
 ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრისაგან
 წარმოდგ. იქნება

შეჩაღები
 დრამა 5 მოქმ. შოლდერის

ადგილების ფასი: 10 კ. 30 კ-მდე
 დასაწყისი საღამოს 7 ს.
 რეჟ. ს. პ. სვიმონიძე რეჟ. თან. ი. კანდელაკი
 მორიგი გამგე ექ. გახსოვია

ავღაბრის სახალხო თეატრი
 კვირას, 21 დეკემბერს 1914 წ.
 ი. ივანიძის რეჟისორობით

ღამონებულნი
 დრ. 2 მოქმ. ივანიძისა

სხიკბული სიგაპრი

კომ. 3 მოქმ. ე. გუნიასი
 დასაწყისი საღამოს 7 საათ.
 ფასი: 50 კ. 4 კ-მდე.

რეჟ. ი. ივანიძე
 მთავარი გამგე ა. ვაჩივაშვილი

ორშაბათს 22 დეკემბერს „ჩენი დროების“
 მაგივრად გამოვა

„შალკეპანი“

გაზეთი ღირს წლიურად 2 მ. 50 კ.
 ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлись,
 типография „Сорашанъ“ Александру Геор-
 гиевичу Мумладзе

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

„ახმა პახეთისა“ ყოველ
 დღიური
 სამეურნეო და სალიტერატურო, სახალხო
 გაზეთი (ჯერჯერობით ხელშემათობით და
 კვირაობით გამოვა.)
 რედ.-გამომცემელი კ. ი. ტყავაძე
 ფოსტის ადრესი: სიღნაღი, კ. ი. ტყავაძე

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

„თეპი“ საპოლიტიკო და სალი-
 ტერატურო გაზეთი. გამო-
 დის ორშაბათობით. წლით 2 მ. 50 კ., ნა-
 ხევარი წლით 1 მ. 25 კ.. თითო №—5 კ.
 რედ.-გამომცემელი გრ. დიხაშიძე.
 მისამართი: Тифлись, ред. „Теми“,
 Ольгинская, д. Диасамидзе, № 4.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

„ახალი აზრი“ ყოველდღიური
 საპოლიტიკო,
 სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი
 გაზეთი სამეცნიერო ცენტრის ნებართვით გამოდის და
 ამიტომ უზრუნველყოფილია შენერება-დახურვისაგან.
 მაშეთი ღირს: 1 წლით—7 მ., 6 თვით—4 მ. 3 თვით
 —2 მ. 50 კ., 1 თვით თბ.—80 თბ. ვარტთ—90 კ.
 სახლავა გარეთ—ორჯერ მეტი.
 კანტორის ადრესი: თბილისი, ორბელიანის
 ქ. № 36

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ად-
 რესით: Георгию Григор. Бемішвили. Тиф-
 лись, Орбелиановская ул., № 36.
 სხვა ადრესით ფულს რედ. ფრა მიიღებს
 რედაქციის კან.პირდაპირ მოლაპარაკება შეიძლე ბა დიდ-
 —12—1 ს., საღ. 5—6 ს.
 გაზეთის ავგენტებმა პირდაპირი დამოკიდებულება უნდა
 იქონიონ კანტორა „განთიღონა“ (მთხილის № 18)



№ 42

წ. 11

წლიურად 5 მ., ხანგრძლივად 3 მ., კალკულაციური 10 კ. გელის მოწერა მიიღება "საქართველოს" სტამბაში. მისამართი: თბილისი. რედ., Театри да Цховреба" 1. И. И. И. И. И.

ხელ-მოუწერილი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერიანი საჭიროებისამებრ შესწორდება. — რექტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება სტამბის კანტორაში — დღით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41.

№ 42

კვირა 21 ძრისტემოზისთვე

1914 წ.

მიიღება ხელმოწერა 1915 წ.

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტ. სახელოვნო-სამხატვრო და საზოგ. შინაარსის ჟურნალი

წელიწადი
შესამე

"სამეგრეო და სსოვრება" ზე

წლიურ. 5 მ.
ნახ. წლ 3 მ

ჩვეულებრივის პროგრამით ივანე გამბართლისა და იოსებ იმედაშვილის რედაქციით.

21 ძრისტემოზისთვე

შინაური

ციხე შეიგნიდან სტყდებ, ოჯახი შინაური

უთანხმოება

უთანხმოებით იღუშება,

და, ვაი, იმ ქვეყანას, რომლის შვილთ (ს ჯერ კიდევ ვერ შეუგნაით...

დღევანდელმა დღმა მოვლენამ ყოველივე წვრილობანი, შენ-ჩვეულებრივი უნდა დავგავიწყოს და ერთ არსებად შეგვადულაბოს... დრო ამას გეთხოვს.

უამისოდ კი ჩვენს ცხოვრების ვერც ერთი მხარე განვითარდება, წინ ვერ წავა და მუდამ სხვის საწველ ფურად ვიქმნებით...

ჯგუფური უნიანობა, მომავლის განუქვრეტელობა, ისტორიულ მოვლენათა მიუღვამოლად აუწონაობა საფრთხის განგვიზადებს...

ასეთ უთანხმოებას ვხედავთ თითქმის ყველა ჩვენ საზოგადო-საკულტურო დაწესებულებაში და ნუ თუ ბოლოს არ მოვუღებთ?

ისტორიული წუთი ყველას შეერთება-შეთანხმებისკენ მოგვიწოდებს და ნუ თუ დრო არ არის, ეს შევიგნოთ?!

სად არის

მხოლოდ ღრმა რწმენით

გმირი?

გატაკებულს უკრის სიტყვა,

ემორჩილება მსმენელი ერი და მასთან ერთად ეძებს ზნის ხსენისას.

ისტორიულ აუცილებლობით შექმნილ პირობათ, მოხერხებულ გარემოებათ კაცი უნდა, რომ დროს აღლო აართოს და შესაფერი ნაბიჯი გადასდგას: სთქვას სათქმელი, ძალი გამოიჩინოს და სხვაც სამოქმედოთ აიყოლოს...

ასეთი კაცი გმირია, ძლიერი პიროვნება, ხასიათ-ნებით უძლიველი... მხოლოდ ასეთ პიროვნებას შეუძლიან დაქსაქსულ ძილთა გარშემოკრება...

ბედნიერია ის ქვეყანა, სადაც გმირი და მისი წარმომავლობის ხალხი ურთიერთს უსმენენ! ვაი იმ ერს, სადაც ან ერთია, ან მეორე, — ორივე ერთად კი არა!...

... და ჩვენი შეცდომა ის არის, რომ მანანას ზეციდან ველით, მხსნელ გმირებს — შორიდან...

აა! — ქართველმა ხალხმა, დემოსმა თვით უნდა შექმნას თვისი გმირები, თვის მისწრაფებათა მტკიცე გამოხატელები!

მთხალეობა

... და მეც მიმიწვევს მოვალეობა, დემონის გვარ ხმით ბრძოლისა ველად, — იქ, ქარ-ცეცხლის ღმერთს მოძმეთა შორის, მეც წარვუღებები წარბ შეუხრებლად...

გულის სატრფო და დედის თვალები ჯერ კი უცრემლოდ გამაკილებენ, — დაბრუნდებიან, დაჰკეტენ კარებს და მწარედ, მწარედ დაიტირებენ...

შორს კი, ვინ იცის, ეგებ ჩემს ცივ მკერდს, ყორანიც კი არ შეეხმაროს და ყრუ უდაბნოს, თვის ყრუ კალთაზე. მხოვრი კაცისა ეუცნაუროს!...

და თუ ამ მსხვერპლით, ჰოი, სამშობლოც ეგ შენი ბედიც გამოიღარებს, — მაშინ გჯეროდეს, რომ სული ჩემი სიკვდილს თვით შენზეც ღრმად შეეყარება!

ს. ფაშალიშვილი



ნაცარქეჩობა

როდესაც კაცი რამდენიმე ხანს უცხო ქვეყანაში დაჰყოფს თავს, ვიცნობს იქაურს ყოფა-ცხოვრებას და შემდეგ უბრუნდება საქართველოს, — პირველს ამოსუნთქვისთანავე გულზე რაღაც სიმძიმე აწევება

შორს ყოფნის დროს კი აღტაცებით არ გამსქევალული; ჰფიქრობ: აი ჩავალ ჩემს სამშობლოში და მთელს ჩემს ძალღონით ვემსახურები ჩემს ხალხს.

მაგრამ სასწაული ხდება აქ კაცი ზანტდება, ზარმაცდება და ნაცარქეჩობას ეძლევა.

იმედს მიანიც არ იკვეთ. ეძებ გასავალს. გულში ფიქრობ: ჩემი ხალხის შვილი ნიჭიერნი არიან, სხვებს არ ჩამოუვარდებიან, მაგრამ ეს რა მიზეზია, რომ სხვა, უფრო უნიჭო, ცხოვრებაში ასეთს სიმკვირცხლეს იჩენს და ჩემი კი ნახევრად ცოცხალმკვდარია?

მიხვალ ერთთან, სძინავს.
მიხვალ მეორესთან, ამტქნარებს.

მიხვალ მესამესთან, ის კი იყო დაწოლილა. და ეს მაშინ, როცა გარედ თუ შინ შრომის ქართველი უნდა გუგუნებდეს.

ყველგან უქნარობა და ნაცარქეჩობა. ყველგან უსასობა და უიმედობა, ან და იმედი გარეშე ძალისა თუ მოწყალებისა. თუ ეს არ არის, მაშინ: ლაპარაკი, ლაპარაკი და სულ ლაპარაკი!

და ეს ხდება მხოლოდ ინტელიგენტთა შორის, რომელთა სუნთქვაც შხამავს საქართველოს სუფთა ჰაერს.

გაუბრებიარ ქალაქს. და სოფლისკენ ისწრაფვი. იქ სულ სხვა სურათია. შრომა დაულალავი. სჩქეფს სიცოცხლე, გლებები ზრუნავენ და ბჭი ბენ ოჯახისთვის და სოფლისთვის.

სიმძიმე გულიდან გშორდება. შენც ემბები ფერხულში. ნეტა რაზე იმაყებენ ეს ჩვენი ინტელიგენტები თავს ქალაქში? ვისაც კი შესწევს ძალა სოფლად მცირე რამ გააკეთოს, რატომ ნაცარქეჩობას თავს არ დახვევს?

პრიტიკა თუ გაუგებრობა?

(ბ-ონ ზ. ჩხიკვაძის რეცენზიის გამოკ. ფოცხვერაშვილის კონცერტზე. „თემი“ № 198)

მთელი ქართველი საზოგადოებისათვის ცხადია ბნ ფოცხვერაშვილის უტყუარი შემოქმედება და მისი ორგანიზატორული ნიჭი საყოველთაოდ აღიარებულია; აგრედვე ყველასათვის ცხადია, რომ მისი შემოქმედების ნიჭი ნამდვილ ეროვნულ ნიდაგზეა აღმოცენებული; მისი მუსიკა სრულებით თავისუფალია უცხო ელემენტებისაგან, ამ მხრივ გადამახინჯებისაგან, და ამიტომ ქართველთათვის დიდს ღირებულებას წარმოადგენს. ისიც ყველამ უწყის, რომ კ. ფოცხვერაშვილმა თავისი ხანგრძლივი მუშაობით ბევრი ძვირფასი რამ შეგვიძინა. ამიტომაცაა, რომ ბ-ნი ფოცხვერაშვილი ხალხს ძლიერ უყვარს და მუდმივ დიდის სიხარულით და თანაგრძნობით ეკიდება ყოველ მის კონცერტს.

ქართულ პრესას რამ ხელოვნებაში ხეირიანი კრიტიკოს-რეცენზენტები ნაკლებ ოგვობა, ეს, სამწუხაროდ, უტყუარ ფაქტად უნდა ჩათვალოს. ქართული გაზეთების სათიეტრო განყოფილებებს, ცოტა გამოკლებით, საქმის უცოდინარობის ბეჭედი აწის. ეს მოვლენა ერთი ათად და ასად იზრდება, როდესაც საქმე მუსიკას შეეხება ხოლომე, ოდნავად მუსიკის მკოდნეში ბრანს იწვევს, როდესაც იგი უსამუსიკო რეცენზიის“ კითხულობს, ბრანდება იმისათვის, რომ ასეთი კრიტიკა ხალხში გადის, მის ფართო მასაში ყალბი შემეცნება შეაქვს და ამით მუსიკისათვის დიდს ვნებას ბადავს, თუ ამგვარ კრიტიკასა სწერს ვინმე უფიცი, მას კიდევ შეიძლება ევატიოს; ვინაიდან შარა იცის რასა იქმს“, მაგრამ თუ ხშირად ოდნავად მუსიკის მკოდნეთაც ვხედავთ ამ რეცენზენტების“ როლში, იმათ ეს არ ევატიებათ.

ამიტომ არის, რომ ბ-ნ ზ. ჩხიკვაძის რეცენზიის („თემი“ № 198) მწუხარებით ვკითხულობთ. ბ-ნი ზ. ჩხიკვაძე მუსიკოსად ითვლება; ლოტბარობს, სკოლებში მუსიკის მასწავლებელია და მას მოეთხოვება, თუ საკრიტიკოდ კალამს ხელში აიღებს, დინჯი და

მანიაკოვ



სეროზული რეცენზია დასწეროს. მუსაკაც გარჩიოს და მუსიკა შესრულებაში არ არიოს. ჩემთვის ცხადხედ უცხადესია, რომ როგორც ბ-ნმა დ. კასრაძემ (სახალხო ფურცელში“), ისე ბ-მა გ საყვარელიძემ (ოათრი და ცხოვრებაში“) ნამდვილი მიუდგომელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ბ-ნ ფოცხვერაშვილის კონცერტი; გაიღვებთ მეთი ნაკლი აღნიშნეს, ვიდრე ბ-ნმა ზ. ჩხიკვაძემ; ამ მხრივ უქანასნელი რეცენზია სუსტიცაა. მეც სრულიად ვეთანხმები ბ-ნ კასრაძესა და საყვარელიძეს, რომ 7 ქრისტეშობისთვის კონცერტი ვი. ფოცხვერაშვილის სხვა კონცერტებს არა ჰგავდა, მაგრამ ამავე დროს ყველამ და, ჩვენა გვგონია, თვით ბ-ნ ჩხიკვაძემაც ნკოდა, თუ რა აუწერელ დაბრკოლებებით მოუხდა ბ-ნ ფოცხვერაშვილს ზემოხსენებულ კონცერტის გაწყობა; ვიცით, რომ იგი თითქმის ურეგულირებელი ავიდა ესტრადაზე, ვიცით ისიც, რომ იგი უღრმეს ტრაგედიას გაიცილიდა იმ დროს, როდესაც ხელში სალოტ-ბარო წყვბლა აიღო... კონცერტს ან ისე უნდა ჩავვლო, როგორც ჩაიბრა. ან და სულ ჩაშლილიყო ისე, რომ შემდეგ მისი გამართვა აღარ შეიძლებოდა... ამას სცილობდნენ ჩვენი მტრები ..

ბ-მა ფოცხვერაშვილმა თავისი მხრით და ამხანაგების რჩევით პირველი აირია, და ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ იგი, როგორც ლობტარი, სასწაულომომქმედია: ურეგულირებელი ჩაატარა ვეებეროფელა კონცერტი 200 ბიეში მოწაფის მონაწილეობით.

ახლა გადავიდეთ ბ-ნ ზ. ჩხიკვაძის რეცენზიის გარჩევაზე, მაგრამ ამაზე შემდეგ ნომერში.

რე-მი

ხალხური შემოქმედება

(გვაგონილი სიმღ. ვარაუდობაზე ახალ ქალაქში აბრამ ბოქორიშვილისგან, ჩაწერილი ანეტა კაპანაძის მიერ)

რასა იქ და როგორა ხარ,
ჩემო ლევან, დარდიმანდო:
ღვინის სმაში მოქვიფე,
სიარულში მეტად ფრანტო?
—სანამ ახალგაზრდა ვიყავ,
ცვლითე ბაბორი და პალტო,
დავებრდი და დავუძლოური,
დავარჩი ეხლა ობლად მარტო!..
შენს ოჯახში დიკვებე,
რაც ღვინის სმით შეიმატო!..



ჯაჯუ ჯორჯიკია

(მისი ნაწერების გამოცემის გამო)

დიდი ხანი არ არას, რაც ჯაჯუ ჯორჯიკია ნაწერადო ახმარესზე გამოვიდა. მისი ნარველი ნ.წარმოება "ღვინის საიდუმლო" დაიბეჭდა 1911 წ. ქუთაისის გაზეთ "კოლხიდა"-ში

თუმცა სამი-ოთხი წელიწადია, რაც სწერს, მანც დიდი უურადლება დაიმსხურა შეათხველ საზოგადოებისა. მისი ნაწერები განახლებს ქართველმა კრიტიკოსებმაც და ახალგაზრდა მწერალმა შენიშნეს უტყუარა ნიჭი მხატვარ მწერლისა.

ჯაჯუ ჯორჯიკია, რომლის ნამდვილი სახელიც კონსტანტინეა, დაიბადა 1885 წ., 7 იანვარს დაბ. ხანში. ნარველიდაწვებათ სწავლა მისი მოიდა და გიმნაზიაში სწავლის შემდეგ კემპეზავრა სახელმწიფო სწავლობდა ჰეიდეინის ინსტიტუტში, სადაც აგრანომიული ნაწილის კურსი დასრულა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მიწვიეს ქუთაისის გიმნაზიაში ფრანგული ენის მასწავლებლად. დროთა უკუდმართობის გამო, მან ქართულ ენის შესწავლას კეინ მოჰქედა სქედო. ქართულ გიმნაზიაში სამსახურის დროს იგი მოხვდა ქართულ წრეში, რომელმაც მასზე დიდი გავლენა იქონია: ამ წრის გავლენით ის დაწვავა ქართულ ლიტერატურას შესწავლას და მაღე, 1911 წ., ზატარა მხატვრულ მინიატურ-მითხრობების წერაც დაიწყო ქუთაისურ "კოლხიდა"-სა და მის მომდევნო გაზეთებში.

ამ ქმადც ცალკე წიგნად გამოდის მისი რხეული ნაწერები, წიგნი 300 გვერდზე მეტი იქნება, კარგ ქალაქზე ებეჭდილი.



კ ე კ ე ლ ა

(ძღვანელ ზ. ნატროშვილს)

ორგვლივ ბნელა...
დაჭქრის ნელა
ცინჩათელა
და შეველას.




ის ცად ნათობს,
ეს ვარდს ართობს,
ის ნაფარდობს
ის კი დარდობს.

ის ანათებს —
არ ღდაებს;
ეს — აამებს
ვარდთან წამებს.
და თეთრ ფრთებით,
ნახ ტუჩებით
ვარდს, ფერებით,
ჭკონის ვნებით...
ვერ კეჭებს...
ფრთა ვწვებს,

ძირს ეღება
და ქვევრება.
გზობნობს, რომ კვდება,
გული წუდება,
ძირს ვარდება,
სული ჭხდება...
ორგვლივ ეღას...
არ ქრის ნელა,
ვით ნათელა
ეს შეველას..

დ. კობალი



მსახიობქალი ელო ანდრონიკაშვილი

დიდი ხანი არ არის, რაც სამშობლო სცენაზე გამოვიდა და მოკლე ხნის განმავლობაში უკვე სანატო სანელი მოიხილა. იგი მარტო სცენაზე რაღებების აღმსრულებელი არ არის, არამედ ქართული სასცენო ხელოვნების ნამდვილი გამაგრებელია — პროპაგანდისტის სიხელ-მოსიველი რეჟისორ-მსახიობ-მწერალთან, შალვა დიანთან, ერთად იგი თავგამოდებით მუშაობდა დასავლეთ საქართველოში — მოგზაურ დანა და ბათუმის დრამატულ საზოგადოების დაფუძნებაში მასაც დიდი აზგი მიუძღვის გარდა მისა დაბ-სოფლებთან თუ ქალაქის სცენაზე იგი მუდამ მუყაითად მუშაობდა, როგორც მსახიობი-მომქადაქე. წელს ბაქოს დრამატულმა წრემ მიიწვია, სადაც თვისი ნიჭიერი თამაშით (დასრულდა რუსია უნიიადგონში „თეკლე ბუურუსშია ქანელა და სხ) საოგელთათ ვურადღება დამ. სახურა. პატრიტემულ მსახიობ-მოდვანს ბაქოს დრამ. წრე მომავლ კვირას, 28 ქრისტობის თვეს, ბენეფისს უმართავს. იმედა, ბაქოს საზოგადოება დირსეულად შეხვდება ქართული სცენის ამ დირსეულ მუშაკს.

ი. არ — თელი

მსახიობქალი მარგარიტა ქილარჯიშვილი

ეს ათი წელიწადია, რაც სცენაზე მსახურებს. პირველად ქუთაისში გამოვიდა ვლ. მენსიშვილის სელმდღვანელობით და მას შემდეგ ხან თბილისის სცენაზე მსახურებდა, ხან ქუთაისის და სხ. ამ უმად ქუთაისის დანა და ერთ სთავაღწინთ ძაღად ითვლება. მთელი ათი წლის განმავლობაში იგი მხნედ ვიდადა სამშობლო სცენის ნარეკლიან გზაზე და ანსოდეს უდაცტნის მისთვის. სამშაბთს, 23 ქრისტობისთვის, მისი პირველი ბენეფისია (ეს ბენეფისია აზვე დროს მისი ათი წლის სასცენო მოდვანის სადღესასწაულო წარმოდგენად ჩითვლება) და, იმედა, ქუთაისის საზოგადოება, რომელიც მუდამ ვურადღებით ეპურობს სამშობლო სცენის მუშაკთ, ამ ახლგაზრდა სცენის მუყაით მუშაკის საბენეფისთ წარმოდგენასაც დიდის ვურადღებით მოეპურება, მთ უმეტეს, რომ იგი საბენეფისთდ სდგამს ცნობილ ბიქსა „ახალი მოძღვრება“-ს. ვლ. მენსიშვილის მანაწ.



ცხემლები კრილოვსანი

(დამტკრული პოემები)

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ №40, 41)

21 ნოემბერი

მარი! მე ის აზრიც კი ქუელიდან მშლის, რომ შენ ოდესმე დამივიწყებ! რა დაგიშავე? მე ხომ მიყვარდი? მე ხომ მიყვარხარ!? მე ხომ მიყვარები?.. და ვინ შეგიყვარებს ჩემსავით, ვინ? .. და ნუ თუ შენ უნდა მიმატოვო, შენ, რომელიც მეუბნებოდი: „მასწავლე წამალი, მასწავლე, მეშინიან, რომ ამაზე ძალიან არ შემიყვარდეთა. შენ, რომელიც ჩემს გრძობას „პატიოსან ენებას“ უწოდებდი და პატიოსან ენებას კი—„ღარღუბლას“. და ნუ თუ შენ უნდა დამივიწყო, შენ რომელიც ყურში ჩამშრილ ჩამჭურჩულვდი: „შენი ვარ, შენი!.. მე სიკვდილსაც კი არ დავანებებ შენს თავსო!.. და ის ჩურჩული ხომ შენი აბრეშუმის კაბის შრილის მავონებდა?.. და ნუ თუ შენ უნდა დამივიწყო, შენ რომელიც ჩვევდრებ-მეუბნებოდი: აბა, როგორ გიყვარვარ—გაიმეორე, კიდევ მითხარ, მითხარ, რომ გიყვარვარო! და მეც შემოგყვები: „მიყვარხარ“, „მიყვარხარ“, „მიყვარხარ“ შეთქი. შენ თურმე ამით კმაყოფილდებოდი, შენ თურმე შენს „სიყვარულს“ ამით იოკებდი: მე თურმე მარაო ვიყავი, რომელიც შენს ენებათა-ღელვას ვაგრძობდი .. აახხ, მარი! მარი შენ თურმე ჩემი ტანჯვა გინდოდა, და აკი მიახწიე კიდევ მიზანს! შენ სტკებოდი ჩემი ტანჯვით, შენ გინხაროდა, როცა მე ექვისაგან არ ვიტლებოდი და შენ კი ჩემდა გასაჯავრებლად ახალ-ახალ საყვარლებთან ეღურტულვდი და.. ეღურტულვდი თურმე შენ ჩემი ექვი გახარებდა, გართობდა. მართალი უთქვამს ვერას: „არმოიპოვება იმისთანა დღეაცაო, რომელიც კმაყოფილი არ იყოს იმ შემთხვევით, როდესაც იმის არჩეული სატრფო ექვიანობით იტანჯებოდა. აახხ, მარი! მარი! ნუ თუ ქალი დასაბამიდან ღღევანდლამდე მხოლოდ საწყევლად გაჩენილა?

22 ნოემბერი

ბაბო! შენ კი ჩამციებიხარ, ხეტი და უზრდელი ხარო. ჩემო კარგო, ნუ თუ არ

იცი, რომ ბუნების შვილი ყოველთვის უხეშია და უზრდელი... ამას გარდა: ნუ თუ აქნობამდე ვერაფერი შემატყე? ვერაფერი! ვერაფერი! ჰო-და, უხეში და ტლანქი შენაყოფილხარ, რომ ესლა გაიგე ჩემი უზრდევლობა.

23 ნოემბერი

ბელო! ნუ თუ შენ ბედავ და ამბობ, რომ კაცებს სიყვარული არ შეგიძლიათო! და რას უწოდებ სიყვარულს? ნუ თუ ეს სიყვარულია: ცხონებულო შენი ქმაჩი რომ გარდაიცვალა, შენ ექვსი ცხვირსახოცი გამოიცვალე დიაცურის ცრემლით გაქდენთილი, და სწორედ შენი ქმრის გარდაცვალებიდან, ექვსი კვირის შემდეგ, ექვსი საყვარელი გყავდა: ექვსივეს ჰპირდებოდი ბედნიერებას და ერთსა და იმავე დროს ექვსივეს ჰღალატობდი და ატყუებდი! და ამის შემდეგ შენ ბედავ და ამბობ, რომ კაცებს სიყვარული არ შეგიძლიათო, და ნუ თუ ეს არის სიყვარული? ხმა! კრინტი!

24 ნოემბერი

ქეთინო! სალამი! დღეს თავი ვერ მოვიეშხე. ამასთანავე საძაგელ, ამინდია და ამიტომაც ვერა გწერ ვრცელ ჩემებურ წერილს. დაცდილი მაქვს: როცა შენი ბარათი მომივა, ან ქეშათ მიძინავს, ან თუ ქიშმიშის მტვევანი ვკაბე—მეორე დღეს უექველად ან წვიმა უნდა იყოს ან—ქარაშოტი. საძაგელი ამინდია... ხოში არა მაქვს. და შენ კი დარწმუნებულნი ვარ, კვლავ მისაყვედურებ: „წერილი! წერილი! ორიოდ სიტყვით ვერ აავსებ ჩემს სულსო! ჩემოხი, ჩამოხვალ საშობაოდ და აღბადა ყველაფერს გამოვარკვევ მხოლოდ იმან კი გამაყვირვა, რომ არა გჯერა ჩემი სიყვარული და მწერ: თუ გიყვარვარ ჯვარს დაიწერო ჯვარი არახატი არ გინდა! და ნუ თუ მაშინ დავამტკიცებჩემს სიყვარულს? მიყვარხარ და სწორედ ამიტომაც ვერ გაცხოვრებ ჩემში; მიყვარხარ და სწორედ ამიტომაც არასოდეს არ უნდა შევერთდეთ, გესმის არასოდეს. საძაგელი



ოვენი ღაჭრილნი—მამა და შვილნი



პრპ. მიხეილ ქავთარაძე პოდპ. კონსტ ქავთარაძე პოდ ალ ქავთარაძე
ტყვედ წაიყვანეს კერძანულებმა

ქართველ მწერალთა წერილები

ლალო აღნიაშვილის წერილი
ალ. მირიანაშვილთან 1895 წ.
სპარსეთიდან მოწერილი.

(გაგრძელება. იხ. თ. და ც. № 30)

ერთი მანძილი რა გავიარეუ თეირანიდგან და მეორეს შეუდექით, ამოვარდა სსშინელი ქარი და სიციფე დაიჭირა. დამე საშინელი ბნელი აუთ, მთვარე გვიან ამოდიოდა. ფნასით, რადანცხედ შეფრთხა ჩემი ჭოთი და მოჭკურცხდა ირემივით. გადახტა გვერდსედ მინდორასკენ და გამაფრინა, თანაც სულ რო მიჭენობდა; თავს მაიკენებდა, ისე რომ თითქმის ტხვირს დედამიწასედ სცემდა.


მე ძალაან ქეჩი ამეშალა; ვიჭერდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, მაგრამ ძალაან ღონიერი აუთ და ვერ დავიმორჩილე.

გამიწვდა მასთანავე ცალი ტოტი ადვირისა და წარფელსავე თავის დაქნეასედ ისეთ კისერსედ წამოხიდა, რომ ასტუმბითაც ვერ ამოხეყავდნენ. მართლა ისე მაგრა დამცა, რომ სანამ უკან დარბომილი ჩხვლადრები მოვიდოდნენ თითქმის 10 წამი ადგილსედ ტატუნული ვიყუგ. რო წამოვდეგე, პაღტო დატეკვილი მქონდა და გული მტკიოდა; ვინახე, —სათი მთლად დატეკვილი იყო. ძალაან ჭაფრი მომივიდა და ერთი კვირა სიდა ჩხვლადრს გაუტუტლახმუნე, რომ თუ ესეთი გავიო აუთ, ჩემთვის რად შეკმახე მუთქი. თურმე ნუ იტყვი, განსაკრი კარგად არა ჭქონდა მოჭირებული და, მე რო ავდექე, უნაგირი სედ კისერსედ ედგა ჭოთრსა. ის წოთირობდა ამის გამო და სულ ტღანეებსა ჭქონდა და თავს

იქნედა. ბოლოს თანმები გამოვლო ფეხებში და ისიც ხეშესვით მიწასედ დავცა. სანამ ჩხვლადრები მიეშეელებოდნენ, მოიგლიჯა უნაგირი და მოჭკურცხდა. კვი ნახევარ საათი მოუნდნენ ამის დატერას; მაგრამ ამავე დროს დაფრთხა მეორე ჭოთი, მოიგლიჯა ფაღანა და ბარე და მოუოს. სანამ ამის დატერდნენ, მე საბნებო გამომავლეს და სედ ქუნასედ დამწვინეს, დიოსეენო. ორ საათ ნახევარი სდიეს უკან იმ ჭოთს, სანამ მეტ კარგა დასათანად გამოვიდინე მაგრამ მთელი გზა სუ ავად ვიყუგ და ორისამი დღე გამოუნელებელი სიცხე მქონდა. მეორე დღეს მე ვეღარ შევიკელ ცხენსედ ჭდომი და გამოუცხადე ჩხვლადრს, რომ ან აქ დავრჩები და თქვენ წადით მუთქი ან ორი დღე მოელი ქარვანი აქ გაახერე მუთქი, სანამ მე კარგად შევიქნებოდე და ან სადმე ქეჭავაში უნდა მიმოყო ადგილი, რომ მოკეტილი ვიყუდე მუთქი. იმას, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი არჩია.

ორი სეიდი აუთ, ახალგაზდა ბიჭები, ძმები და ქეჭავაში ისხდნენ. უთხრა მათ, მაგრამ ძალაან შორს დაიპირეს და ხუთი ჟოუმნიდგან« (ჩვენებური ერ ი თუშინი) დაწვეს გატრობა. სულ-კვი ორ მანძილზედა ვთხოვდი, სანამ მეტ უკედ გავსდები მუთქი. ბოლოს შეუდგნენ სხვა-დასხვები და ერთ თუშინად (ორ მხედლად) დაათხნმეს ერთ მანძილსედ. მივე ორი მანათი და მოვიკემე ქეჭავაში ბატონ-კაცურად. მეორე მხარეს იმისი ძმა, სეიდი, იჯდა, მაგრამ დაღათ ეწოთიარებოდა, რომ ვინც დაგვიანხვს,

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა



დატვირთული სტრიქონები

(ხევრიანინისებური*)

დრამ. საზ. კრების შემდეგ?
? ნაცნობი სილუეტები ?



იოზა ზარდალიშვილი
რასკოლნიკოვის როლში (იღბის
შეული და სსსრული*)

ფრთა-ასხმული მთის ნიაგი წყაროს მთიურს აჩუჩხუცებს:
მზის სხივებით აქათქათებს მთით წამოსულს ვერცხლის წყალსა;
ძაძა-ცმული ვარ მკმუნავი, სამოსს მზიურს ვინ მაჩუქებს?
სასოებით ვინ ამანთებს სევდით მოცულს, შუქ-მიმქარალსა?

მთის ნიაგი ფრთა-ასხმული აჩუჩხუცებს წყაროს მთიურს,
აქათქათე'ს მზის სხივებით ვერცხლის წყალსა, მთით წამოსულს;
ვარ მკმუნ-ავი, ძაძა-ცმული, ვინ მაჩუქებს სამოსს მზიურს,
ვინ ამანთებს სასოებით შუქ-მიმქარალსა, სევდით მოცულს?

წყაროს მთიურს აჩუჩხუცებს ფრთა-ასხმული მთის ნიაგი,
მთით წამოსულს ვერცხლის წყალსა მზის სხივებით აქათქათებს;
სამოსს მზიურს ვინ მაჩუქებს? ძაძა-ცმული ვარ მკმუნავი,
სევდით მოცულს, შუქ-მიმქარალსა, სასოებით ვინ ამანთებს?

აჩუჩხუცებს წყაროს მთიურს მთის ნიაგი ფრთა-ასხმული,
ვერცხლის წყალსა, მთით წამოსულს, აქათქათებს მზის სხივებით;
ვინ მაჩუქებს სამოსს მზიურს? ვარ მკმუნავი, ძაძა-ცმული,
შუქ-მიმქარალსა, სევდით მოცულს, ვინ ამანთებს სასოებით? —

ს. აბაშელი

*) იგორ სევერიანინი რუსეთის ახალი პოეტის უანასენელი სიტყვაა.
მის შემოქმედებაში არის პოეტური აღმადრენა. არის ახალი სხივიც,
მაგრამ მის მოთავარ შემოქმედებითი თვისებას შედგენს **ლიპსის კეთილბა,**
რომელიც გერმ მის ნაწარმოებს ინტუიტურ შემოქმედების ელფერს
უარგავს. მოგვეყვს ამგვარი „შემოქმედების“ ნიმუში.— ეს ლექსი დასწერა
ჩვენის თხოვნით მოსანმა ს აბაშელმა.

რედ.

რას იტყვის: სეიდი (წმინდა კაცია, მაცმადის
ხმომავლობადა სოფლიან თავის თავს) არა-მაც-
მადიანს გვერდთ მოსვლითაო. მანინ ბოლო ვერ
გაატანა და გარეყრავუხედ, როცა ს:ლოცვად
გ:დმოვადენენ, მოხოვა: აუბრძანე, შენა ბაჭი აქ
ჩაჯდეს და მე იმის ცნებედ შეეჯდებოდა. კარ-
გი, შეუქი, და მოვასუი ბიჭი გვერდსუედ.

მაგრამ ერთი უბედურებაა სწორედ ქუჩაჯა-
ში ჩაჯდომა, ნამეტნვე პირველად, როდესაც მან-
დიდიდგან კამოდიან. რაც უნდა გ:წრონილი
ცხენი და ჭორი იყოს, უნდა თავსუედ შვიი რამ
გ:დაიფრთს; რომ ვერ დაინახოს, როგორ
სსდებან ქუჩაჯაში, თორემ როდესაც გვერდუ-
ბიდან: დაინ არ-ორი კაცი, ცხენი ფრთხება და
აუცილებლო გ:დმოჭერის. მერც თათქმის ერთი
საითი ცხენი მოუსყენარია, სულ შუითავს,

ენოთიერება და ჩველადარს უკრავს ცოტა მან-
დილსუედ ჭიდაბა, ვიდრე ცხენი არ გადვიწყებს
და იმ თავის მღვდომარეობას არ შეეჩუევა.

თეირანში მუფთობის დროს ერთი ბაჭი
დავიტარი, სსხუად მესროფი არუთინოვა, რუ-
სული იცოდა, თეირანში რ კვირასუედ მეტი
მეშასხურებოდა (დევეკანდი სსვა-და-სსვა ადვი-
ლეების სანახავად და მოეჩოობას ექოლად) და
ა:გ-კაცობა არა შემომჩუევიარა. როცა ისმავანი-
სკერ წამოსუდას ვანიერებოდა, გააკეს, მოეჩუედ
ერთი ბაჭი მქმარებოდა და სსმი-თახის მუშტა-
რა აღმოჩნდა; მაგრამ მე ისევე მესროფი ვარ-
ჩიკი, რადგან ჩემს სკვაში ცოტად თუ ბეკრად
უვეუ ვიცნობდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სრუ-
ლად არ ვიცნობოდა: ტაქეობით არს მიეკუთებდა,
ქმუდამ ავადმუფთობის მიხეჯს იდებდა და თავის



უკუდო ხარი თავისთვის არ იყო—სხვას ზუზებს უგერებდაო...



ქართველი ინტელიგენტი (პარიზს დასტირის), ოხრდაც დარჩენილა, საქართველო, თუ კი ვერაგი მტერი პარიზს გააანადგურებს.

ქვიფებდ დადიდა ზემს ზვადმყოფობაში უფრო მავნებელი იყო, ვიდრე მომავლელი. ბოლოს ხელმწიფობდა შუგანში. ისმჯანში რა მოგელ, აქ შუგანში, რომ ერთი გავარდნილდაცანი რომელია: სად მაღალია გაუტეხნა, სად რა მოუზარა, სად რა; სად ცხეში არა მჭადარა, სად უფლებებში არ უტეხნათა (ეს ერთი სასჯელთაგანია აქ). ერთის სიტყვით, წმინდა წულისა არ იყო, აქ, ისმჯანში, სომ ბატონი ის ტახდა და მისამსახურე მე; დღით გავიდოდა და მყოფე დღით ანუ ორი დღის შემდეგ შემობრუნდებოდა, მაგრამ სახლში ნახეჯარ სახით არ დაჩეხებოდა, მხოლოდ თვალით დაშინახეჯობდა და ისევე გზას გაუდებოდა.

გუთმიხე, გუთმიხე და მერე ზანხეი ამავე კარ. დიდი ზედაზედა ამიტხე, თავის ჭკვეში რადღე სწადდა; „ასი თუმანი მშართუის ჩემითა,“ მაგრამ რადესეც კარგად შუგანში ხელში, ეს ისტორიაც გათავდა.

მესამე დღეს, ვნახით, ჯვარი დაიწრა. თითონ არა ჯეს-რა, ცდეს არა მოჭეოლია რა; „ჩინ მარტი უხანთ, უხან ხარდი“ და რა უნდა იქონ იმათი ცხოვრება? (მე, რასაკვირუელია, ამასი ჯვარი არა მაქეს). წინა კრივორიანი ეთივლია, როგორც სომეხა; მერე გალოორანგებულა, შემდეგ გამაჯმადაჩეხებულა და, რატა მე დავიჭირე, კათლიკე იყო, ესლა; ჯვარის დაწერის დროს, ასევე გალოორანგდა, რადგან ღმერთანგების ბიშოპმა (ეპისკოპოსმა) ათი თუმანი (აქური) მისდა და კათალიკების არქიმანდრიტი-კი ხუთ თუმანსაც არ ამდევდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მე უანი გესმის— შენ გესმის ჩემი! ლეკსისებური

ჩემო ქვეყანავ, ედემო სულისა, გულის სწორო, ჩემო კერავ, სამშობლო ჩემო! მიყვარხარ, გეტრფი... არავის ზეკას—მთვეს სიტყვისას არ უთქვამს, არც კალმის ოსტატს დაუწერია იმ სახის გრძობა, რა გრძობითაც მე შენთვის ეწვი!

ვინ ძე აღამისა მსხვერპლად მოიტანს იმდენს ზეარაკსა, ჩემთვის უმწიკვლო შენს საკურთხეველზე, რამდენიც შენთვის მე მარად მზათა მაქვს შესაწირავად?!

და რო მიყვარხარ, განა მისთვის, რომ ლამაზი ხარ, უცხო წალკოტად გადაფურქვენილხარ?

არა!
ხატება შენი ხომ გადამთიელსაც აჯადოვებს, ხიბლავს, იტაცებს... მე რო მიყვარხარ და გეტრფი—მე იმიტომ, რომ აგრე კეკლუტი ჩემი ხარ, ჩემი... და მეც შენი ვარ!..

ჩემე თვლით ორი ვართ, ისე კი ერთი, განუყოფელ, განუშორებელ...

სამოთხევე ჩემო!
ჩემთა ზრახვითა ქირისუფალო... ჩემთა წაილითა სასიკებავე

მე შენი მესმის—
შენ გესმის ჩემი...

დ. მესხი



პართულ სახალხო თეატრის ისტორია

რაც ერთი ფეხი შეესდგოთ ზეგჯლის აუდიტორიაში, უფრო ხელისიანად დაგიწეოთ მუშაობა და საკმეს უფრო ენერგულად შეუდექით. მეორე წარმოდგენა იყო "და-ძმა". ამ დროს ძირიელ დაგეგმვარა დამსახურებული მასწავლებელი ქალი ქ. ეკ. ასათიანისა, რომელმაც რეჟიტორებიანსთვის დაგვიომო სასწავლებლის ოთახი; ამა თანავე ერთს თავის მოწაფე ქალს, ეკ.

ვასო რაგვიანში (სირაჯის ბიჭი). საჭიროა შემდეგი წერილობრივ ლენიშნით: რა კი ამ წარმოდგენისთვის ტუან დეკორაციები არა გვექონდა, ამისთვის ერთს წყნათელ მუხრმეს ერთი ურემი ფოთლი მოვატანინეთ—2 მანეთად. ჩვენნი ამხანაგობის რამდენიმე წევრი ვასო ჯანაშვილის (თეგდორაშვილი) თანხმობით მახანის გორაზე წავიდა ძიების ჩამოსატანად ღობისთვის, სანადოსნო სასწავლებლის მოწაფეებიც სამღერლად მოვიწვიეთ, და, როცა ეველანფერი კარგად მოვაწყეთ, მაშინ ავწვიეთ ფარდა; სტენის მომწუმბ-დეკორაციები თვითვე ხელისანი-სტენის მოყვარენი იყვნენ, სმად ტანისამოსსა და გრემბეშივე. ამ წარმოდგენასაც დიდალი ხალხი დაესწრო. გასეთუმბრ უურადლებს მოგვქვიეს: ზირუელი რეცენზია დაბეჭდა გაზ. "ივერიაში" ია ევალდის ფსევდონიმით.



პ. თ. ასათიანი

პ. კ. კველიძე

დამსახურებული მასწავლებელი ქალი რომელმაც სან. თეატრის დაფუძნებას ხელი შეუწყო.

(ჯაბურისა) რომელიც სან. თეატრის ასპარეზზე მხნედ მუშაობდა. ახლა მასწავლებელია

იოსელიანს, გაბედვინა ჩვენთან თამაში მარინეს როლში. ამ დროს ამხანაგობაში იყვნენ ისევ ზემოდ ჩამოთვლილ ხელისნება. "დაძმის" მხადების დროს შემოგვიერთდა ისევ ჩვენი, სახელოსნო სასწავლებლის, მოწაფე მიხეილ თუშქელიშვილი, რომელმაც მოკარნახეობა იკისრა.*

ასე მიდიდა ქართული წარმოდგენები: სომხურ—რუსული სტენის მოყვარენი კი ჯერ არა სხანდნენ. მეოთხე წარმოდგენა იყო "დავატკები". ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს სხვა სტენის მოყვარე მასწავლებლებ ქალებმაც:



ანნა ჩაჩიანი

განხილვებულ მასწავლებელი ქალი, რომელმაც სან. თეატრის დილაგი დასწრა.

ან. ჩაჩიანი და მ. ხმადაშვილი. ბოლოს მართველობაში მოგვთხოვა—თუ ერთ მოქმედებას რუსულად არ ითამაშებთ, ნებას არ მოგცემთო. ამხანაგ რეგვაშას. ჩვენმა ქალებმა მოაწვიეთ თეატრის სახეობა (რადგან ჩვენ არ ვიცნობდით) და უოველ წარმოდგენასზე თითო მოქმედებასზე იდგებოდნენ.

ამ მეორე წარმოდგენასევე ექიმ ხუდაღვის გახსოვით ნება მოკვდა ბიდეუების ფასი თათო შაური დაგვეწესებინა სათეატრო ფანდისთვის, რადგან მოგროვლიდ ფული ზირუელ წარმოდგენების დროს სტენის გაკეთებაზე დაგვეხრჯა. ბ. ექიმი ხუდაღვი** დიდის სიამოვნებით დაგვითანხდა და ჩვენც ბიდეუების ფასად ვველა რიგებისა თითო შაური დავაწესეთ. შესაშვ წარმოდგენა იყო "არსენა" ეკ. ასათიანის შემწეობით მონაწილეობა მიიღო მასწავლებლებმა ქალმა: ემ. წულუყიძემ—წვლოთქიფანძისა, (სიღრიან) და ეკ. იოსელიანს: (ნირა) ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო გ. თხილაძემ (სირაჯი) და

ზირუელ რუსულ ენაზე დაიდა "დათვი". მეხუთე წარმოდგენა იყო "პეპა" სურდუკიანტისა. ამ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო განსვენებულ სონა ციციშვილის ქალმა (მუშანა);

მეგვარად ინტელიგენტი ქალები ელ. ნელა დაგვიანლოვდნენ და გვეხმარებოდნენ სტენასზე გამსკდით, მხოლოდ სათავეში ისევ ის ზემოდ ჩამოთვლილი ხელისნათა ამხანაგობა იდა და საქმეც კარგად მიდიდა.

განსვენებულ სონა ციციშვილის გატნობის შემდეგ რეჟიტორები ზოგჯერ "კვალის" რედაქ-

* მუდმივ მოკარნახედ თითქმის ათი წელიწადი იყო და ახლაც სახალხო სახლის წრის დასის მოკარნახეა.

** ეკ. ხუდაღვის სურათი ვერ ვიშვენეთ.



ციაში იმართებოდა. აქ დახსდოვებით გავიცნათ
 განსვენებული გიორგი წერეთელი, რომელსაც
 ძირადაც ესაიმაფნა ჩვენ, როგორც მუშების, მაგრამ
 დაწვებული სახალხო თეატრის საქმე და რად-
 განაცხად უნდადა ჩვენში მეტი განათლება შეეტანა,
 ამისთვის ჩვენ სტენის მოყვარეთა ამხანაგობა
 რამდენჯერმე მივკვიწყა კუკაის საქმიანხვე-
 დობა (სემიონოვის ქუჩაზე), სადაც გიორგი
 ძველ სასოავადა ისტორიას გვაიმნობდა.

გ. ჯაბაური

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მ რ ი ფ ე რ ა დ ი

წამოჯდა შემოლილივით საწოლზე. გა-
 შვრილი თითი ფიქრის ქსელზე საიდუმლოდ
 მიმოატარა. აღიშარათა მოჩვენებასავით და,
 უზესთავის ნეტარებით სახე ვაბარწყინებულმა,
 გაიღიმა. ხანდაზმით დააშტურდა გონების
 ტილოზე გადაშლილ „მშვენიერების- სურათს
 და, ოდნავ სიმშვიდე დარღვეულმა, გასაოც-
 რად შეტკინა. გაჰყვა სათუთ ოცნების ძაფს
 ისე ფრთხილად, თითქო უფრსკულზე გადა-
 კიშულ საბელზე მიდიოდა. შეიპარა სამხატვ-
 როში წარსდგა ვადაკრულ ტილოს წინ.
 დაუწო დასველებული ყალბი „შავს, გლო-
 ვის“ ფერადს და... გაირინდა. ჩაჰქრა ოც-
 ნების ფაქიზი შემოქმედება, გაიცრია თეთ-
 რი ტილო. საშინელების ნისლით მოიბინდა
 მეტყველი თვალეზი... შავი ზეწარი ჩამოე-
 შვა, ჩამოეშვა და საზარელი, ტბილბდარბუე-
 ნილი, თვალმზაცვივული ჩონჩხი გამოი-
 ხატა! მოჰქროდა ჯანლი ჯურღმულ თვალ-
 თაგან და ჰფარავდა მის... შიშის ზარი
 კრუნჩხავდა მხატვარს...

მან იცნო საშინელი აჩრდილი

„გაჰხსენი, გაჰხსენი ვარდის ფერადი“,
 დანთქა ციური ხმა.. მიმქრალი თვალეზი
 ზეტყვენიური მადლით გაუშუქდა. წმიდა სან-
 თელი აღნთო გულის სიღრმეში. ძლივემო-
 სილმა შემოქმედებამ ფრთები გაშალა და
 მკვდრეთით აღმდგარმა მხატვარმა შთაბერა
